სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

94372183254412

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N121237224

რეგისტრაციის თარიღი

15.11.2012 წ

ნოტარიუსი: თამარ პოლიკაშვილი
მისამართი: თბილისი, ირ.აბაშიძის 81/დარიალის ქ.#9
ტელეფონი: 2222777

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თორმეტი წლის თხუთმეტ ნოემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუს **თამარ პოლიკაშვილს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ.№81/დარიალის ქ.№9, მომმართა: **შპს „ახალი თბილისი"-ს დირექტორმა გოჩა ჯაიანმა** *(ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, გან. №528306, გან. რეგ, №**B**12103884, მომზადების თარიღი: 05/09/2012; სახ, რეგ.: 20/07/2007; ს/კ №205215131).* მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე **გოჩა ჯაიანის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **გოჩა ჯაიანმა** *(დაბ. 27.03.1960წ. ფოთში, პ/მ№11**IA**02679, პ№01008006027, გაც.: 18.08.2011წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ.: თბილისი, ირ. აბაშიძის №84)* მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მინდობილობის გამცემს და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მინდობილობის გამცემმა მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

<u>„მინდობილობის გამცემი" -</u> *შპს „ახალი თბილისი"-ს (ს/კ №205215131)* დირექტორი <u>გოჩა ჯაიანი</u> *(დაბ. 27.03.1960წ. ფოთში, პ/მ№11**IA**02679, პ№01008006027, გაც.: 18.08.2011წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხ.: თბილისი, ირ. აბაშიძის №84)* <u>"მინდობილობის მიმღებს"</u> – ნანა კაპანაძეს *(დაბ. 01.08.1971წ. ამბროლაურში, პირადი № 01008037746)*, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

- *წარმოადგინოს და დაიცვას შპს „ახალი თბილისი"-ს (ს/კ №205215131) და მისი დირექტორის ინტერესები საქმიან ურთიერთობებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, დაიცვას მინდობილობის გამცემის ინტერესები ქ. თბილისის მერიაში, მის ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურებში, მიმართოს განცხადებით ზემო აღნიშნულ ორგანოებს (ან/და დაწესებულებებს), შუამდგომლობით და კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს (გამოითხოვოს), ასევე ჩააბაროს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი (ან/და ინფორმაცია), ხელი მოაწეროს ყოველივე ზ/აღნიშნულთან დაკავშირებულ საბუთს (მათ შორის განცხადებებს) გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები;შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებულია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.*
- მინდობილობა გაცემულია <u>ერთი წლის ვადით და ძალაშია 2013 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.</u> ეს მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია *ქართულ ენაზე* სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს **თამარ პოლიკაშვილის** სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა **„მინდობილობის გამცემს'.**

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა. სულ 12,00 ლარი.

შპს „ახალი თბილისი"-ს (ს/კ №205215131)
დირექტორი
<u>*გოჩა ჯაიანი*</u>

ნოტარიუსი თ.პოლიკაშვილი